სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1987 წლის 26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში“.

კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები **ი. ფ. სოლოვიოვი** — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ბ. ი. გოსტევი** — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი, **ი. ი. ლობოვი** — უდმურტეთის ასსრ დ. თ. უსტინოვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „იჟმანქანის“ პარტკომის მდივანი, **ა. პ. ფილატოვი** — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ლ. ა. ვორონინი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე, **ბ. მ. ვოლოდინი** — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **კ. გ. ვაინო** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ა. ი. კოლესნიკოვი** — უკრაინის სსრ საწარმოო გაერთიანება „კრასნოდონქვანახშირის“ „ბოლოდოგვარდეისკაიას“ შახტის მაღაროელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, **ა. ა. ხომიაკოვი** — სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, **ნ. ს. კონარევი** — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, **ნ. ნ. ზჩერბაკოვა** — მოსკოვის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ბამბეულის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ მქსოველი, **ა. ა. შალაევი** — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, **პ. ს. ფედორკო** — სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, **ა. დ. ლიზიჩოვი** — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, **ი. ს. ბელოუსოვი** — სსრ კავშირის გემთმაშენებელი მრეწველობის მინისტრი, **ვ. ი. კლეპიკოვი** — კრასნოდარის მხარის უსტლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „იუბანის“ ბრიგადირი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **მ. ს. გორბაჩოვმა.**

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი“.

პლენუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვის გათვალისწინებით გადამუშავებული სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალა იგი შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

პლენუმზე მიღებულია გადაწყვეტილება სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია მოიწვიონ 1988 წლის 28 ივნისს ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხანაგი **ა. ნ. იაკოვლევი** და **ნ. ნ. სლიუნკოვი** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. პ. ნიკონოვი** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად აირჩია.

პლენუმმა ამხ. **დ. ტ. იაზოვი** — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის წევრად და აირჩია იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ს. ლ. სოკოლოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან ცენტრალური კომიტეტის წევრებად გადაიყვანა ამხანაგები **ლ. დ. ბრიზგა** — ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობა-კომბინატის „ილიჩის ხსოვნის“ მანქანური წველის ოპერატორი, **ნ. ა. პავლოვი** — ტიუმენის ოლქის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ნავთობგაზის მომპოვებელი სამმართველოს „სურგუტნავთობის“ ოპერატორი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. დ. ა. კუნაევი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის დროს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ, 1987 Წ. № 124 (9535) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ



საქართველოს სპორტსახკომში

კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილეს სამხრეთ ოსეთში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის შედეგები იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დღის წესრიგში დააყენა სკკპ XXVII ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ. კოლეგიამ გამოავლინა უკონტროლობის, უპასუხისმგებლობისა და საქმისადმი არაკონკრეტული მიდგომის მრავალი ფაქტი და გაწეული მუშაობა უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. მიღებული დადგენილება ვრცლად ცალკე გამოქვეყნდება.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით კოლეგიაზე მოიწვიეს რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი. აღინიშნა, რომ ნორჩი მოჭადრაკეებისთვის ყოველგვარი პირობები იყო და არის შექმნილი თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად. გუნდში გამოიკვეთნენ ლიდერები. ჭაბუკებს დაგეგმილი აქვთ ფინალურ ექვსეულში გასვლა, გოგონები კი ჩემპიონობას უმიზნებენ.

გრძელდება სახელმწიფო მიღება. კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვისა და საქართველოს პროფსაბჭოს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის სპორტულ სკოლებში ჩატარებული სახელმწიფო მიღების შედეგები. ორივე სკოლის შეფასება არადამაკმაყოფილებელია. დადგენილებების შინაარსი გამოქვეყნდება.

თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის მიერ რესპუბლიკის გარეთ ჩადენილი სამარცხვინო საქციელის შესახებ საზოგადოებრივობა ინფორმირებულია. ეს საკითხი ოპერატიულად განიხილა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. განხილვას უსწრებოდნენ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების, შესაბამისი უწყებების, ამიერკავკასიის რკინიგზის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები და ხელმძღვანელი მუშაკები. მომხდარ ფაქტს მიეცა უაღრესად მწვავე, კრიტიკული შეფასება. მიღებული დადგენილება ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა.

კოლეგიის ამ სხდომაზე დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები და განიხილეს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად წარმართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ Ⲙ

ᲑᲘᲚᲑᲐᲝᲨᲘ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში VIII ტური ყველაზე საინტერესო გამოდგა. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი და მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. პარტია უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ 61-ე სვლაზე გადაიდო. საინტერესოა, რომ გადადებული პოზიციის შეფასება სპეციალისტებს გაუჭირდათ.

შვედმა ულფ ანდერსონმა მოუგო ესპანელ ჟოზე გარსია ფერნანდესს. დაზავდნენ ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და ანდრეი სოკოლოვი (სსრ კავშირი), მ. ილეკასი და ფრანსისკო ოჩოა (ორივე—ესპანეთი). უნგრელი დიდოსტატი ქალის ჟუჟა პოლგარისა და ესპანელი ფელიქს ჩავარი აზეტას შეხვედრა გადაიდო.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ბიტცას საცხენოსნო კომპლექსში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი ცხენის გაწვრთნაში. „მთავარი პრიზი“ გუშინ გათამაშდა. იგი მოსკოველმა ვლადიმერ ლანიუგინმა მოიპოვა.

ნებაყოფლობითი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო დიდი ხანი არაა რაც შეიქმნა, მაგრამ უკვე რამდენიმე მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება ჩაატარა. უველაზე ხალხმრავალი მაინც გუშინდელი ტურისტული ლაშქრობა იყო, რომელიც მოეწყო მარშრუტით: ბაგები — კუს ტბა — მთაწმინდის პანთეონი. ასობით მშრომელმა აქტიურად დაისვენა ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან ერთად.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. „ლამაზი, გააფთრებული ქალთა ფეხბურთი“. ნორვეგიელი ფეხბურთელი ქალები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

„რატომ დავმარცხდით?“— სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, პროფესორი ა. გომელსკი აჯამებს კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის შედეგებს.

27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. „სიტყვა თქვენ გეძლევათ, ფსიქოლოგებო“. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობს საბჭოთა კავშირის სპორტული ფსიქოლოგიის ფედერაციის თავმჯდომარე, პროფესორი ვ. პლახტიენკო.

„ᲢᲠᲣᲓᲘ“ — 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. „არა, მხოლოდ მედლები“. ინტერვიუ ათგზის ოლიმპიურ და რვაგზის მსოფლიო ჩემპიონ ლარისა ლატინინასთან.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ

საქართველოს სპორტსახკომისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით საბჭოთა ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით, გუშინ, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მეორედ მოეწყო ერთდროული მასობრივი საჭადრაკო სეანსი (500 დაფაზე). სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს საშუალება მიეცათ პირისპირ შეხვედროდნენ საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეებს: ნონა გაფრინდაშვილს, ედუარდ გუფელდს, ბუხუტი გურგენიძეს, ალექსანდრე ბოკუჩავას, იგორ ეფიმოვს, გია ბაღათუროვს, ციური კობაიძეს და სხვებს.

შესანიშნავად ორგანიზებული საჭადრაკო ფორუმი ნამდვილ ზეიმად იქცა. ეს ღონისძიება უთუოდ ხელს შეუწყობს ჭადრაკის პოპულარობას.

თბილისში დამთავრდა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირველი ახპარეზობა — წყალბურთელთა შეჯიბრება.

იხ. მე-3 გვ.

. ᲞᲝᲢᲔᲜᲦᲐᲛᲘ. გდრ-ის მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდსმენმა და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, 31 წლის უდო ბაიერმა 22 მეტრსა და 9 სანტიმეტრზე ჰკრა ბირთვი. წლეულს მასზე უკეთესი შედეგი მხოლოდ სამ მძლეოსანს აქვს ნაჩვენები: ამერიკელ ჯონ ბრენერს (22 მ. 52 სმ), შვეიცარიელ ვერნერ გიუნტერს (22 მ. 43 სმ) და იტალიელ ალესანდრო ანდრეის (22 მ. 17 სმ). ამავე შეჯიბრებაზე ჰელგა რადტკემ სიგრძეზე ხტომაში 704 სმ. აჩვენა.

ᲡᲐᲜ-ᲞᲝᲚᲘ (აშშ, კალიფორნია). ამერიკის მძლეოსანთა ეროვნულ

ᲬᲔᲚᲬᲐᲘᲕᲘ - ᲔᲙᲘᲛᲘᲡᲕᲔᲚᲘ



ჩემპიონატში მხოლოდ ერთი ფინალი გათამაშდა — ქალთა რბენა 10 კილომეტრზე. გამარჯვება ლინ ჯენინგსმა მოიპოვა—19,15. აი, შესარჩევ შეჯიბრებებში კი რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ოთხგზის ჩემპიონს კარლ ლუისს ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებლები აქვს 100 და 200 მეტრზე რბენაში (შესაბამისად — 10,06 და 20,22).



ლახტის ფრეში

გულარხეინი ხალხი

ამას სახლმმართველობის მუშაკებზე ამბობენ. ჩვენ ყველანი მობინადრენი ვართ და კარგად ვიცით, მართლაც ვიხთანა გვაქვს საქმე. ცხადია, იმათ ვგულისხმობთ, ვინც უნაღვლოა, თორემ გულისხმიერ ადამიანებს სად არ შეხვდებით. თითქოს თავაზიანობა არც თბილისის პირველი მაისის რაიონის საბინაო ტრესტის 27-ე სახლმმართველობის მუშაკებს აკლიათ, მაგრამ საქმეში რომ არხეინი ხალხი ყოფილან, ამაში მოვალეობისადმი დამოკიდებულებამ თავად ამხილა ისინი.

აკაკი წერეთლის გამზირი № 41. შესანიშნავი ეზო, ჩრდილმფენი ხეები, პატარა სკვერი, დეკორატიული კუთხე, მწვანეში ჩაფლული პავილიონი გრძელი მაგიდით და... კალათბურთის მოედნის ცალი ფარი, ირგვლივ ყველგან უნესრიგობაა, სოფელში უპატრონოდ მიტოვებული კარ-მიდამოს მსგავსად გადაწოლილა ხის ღობე, ზოგან კი ბაწარი გაუბიათ იქ, სადაც მავთულბადე უნდა იყოს. ეზოში ორ ადგილზე ასფალტი ჩავარდნილა და ახლა ორი სახიფათო ორმოა ამ ადგილზე. ერთ ორმოში მაღალი ძაბვის დენის კაბელი გადის. ეზოში დიდი ხნის წინათ აფეთქებულა ელექტროქვესადგური, კარები გამოუგლეჯია და ახლა დღესაც, თვით მობინადრეები დარაჯობენ, რომ შიგ უეცრად ბავშვები არ შევიდნენ. როდემდე? სამართლიანად კითხულობენ მცხოვრებლები.

...დიახ, ეზოში კალათბურთის მოედანიც ყოფილა. ერთ დღეს ნაგვის მანქანას ცალი დგარი მოუგლეჯია, ბავშვები ტირილით დადევნებიან მძღოლს.

— ნუ ტირხართ, გაიზრდებით და გაიკეთებთო, დაუმშვიდებია ამ უგულო კაცს.

— შვიდი წელია ჩოგბურთის მაგიდას ვითხოვთ, მაგრამ ამაოდ— გვითხრეს მობინადრეებმა. ახალ სახლმმართველს თამაზ კუპრაძეს კი ჩვენს თვალწინ ისინი პირზე დაადგნენ, — შარშან პირადად თქვენ დაგვპირდით ერთ თვეში ჩოგბურთის მაგიდას დაგიდგავთო...

ადგილი კი ეზოში ჩინებული აქვთ შერჩეული მაგიდის დასადგმელად, ჩრდილოვანი, თვალმისაზიდი.

დავინტერესდით სახლმმართველობის საერთო საქმიანობით, რათა შეუცდომლად გამოგვეტანა ზოგიერთი დასკვნა. როგორ გგონიათ, მხოლოდ სპორტისადმი უყურადღებობას იჩენენ სახლმმართველობის მესვეურები? არა, უდარდელობა, ვიტყვით, უპასუხისმგებლობა იგრძნობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებშიც. ჩამოთვლა და მაგალითების მოტანა აქ უადგილოდ მიგვაჩნია. დაე, ისინი ყურნალისტის ბლოკნოტში დარჩნენ, თუ ცხადია, მათი მოშველიება შემდგომში არ გახდა აუცილებელი.

იქნებ ბევრი რამ სახლმმართველობის გასაკეთებელი არ არის, მაგრამ ტერიტორია, ეზო-ბინა ხომ მათ ექვემდებარება. თუ ასეა, განა სულ ერთია ვიზრუნებთ თუ არ ვიზრუნებთ მობინადრეთა ინტერესებისთვის? აქვე ვიტყვით: სახლმმართველობას ჰყავს პედაგოგორგანიზატორი მაია რომელაშვილი, რომელიც ამ ეზოში დღემდე ფეხშედგმულიც არავის უნახავს (?!). სხვათა შორის იგი გუშინ სამსახურშიც არ გამოცხადდა, ამიტომაც ვერ გავესაუბრეთ.

ჩვენ არ ვაპირებდით გაზეთში წერილის გამოქვეყნებას. არა, ამ მიზნით ნამდვილად არ მივსულვართ მობინადრეებთან და სახლმმართველობაში. მაგრამ ისინ, რაც გუშინ ჩვენ აქ ვნახეთ — და ოფლსმინეთ, აზრი შეგვაცვლევინა, არ გვინდა მობინადრეებმა და თუნდაც სახლმმართველობის მუშაკებმა იფიქრონ, რომ ეს სტუმრობა მორიგი „ღონისძიება“ იყო და ხვალიდან ეს ამბავი ჩვენც დაგვავიწყდება, ზეგიდან კი ისევ გულარხეინობა იზეიმებს. თუნდაც ამგვარი ფიქრის უარსაყოფად ღირდა ამ წერილის გამოქვეყნება.

მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მაინც სიტყვაა და არა საქმე? იტყვის ალბათ ვინმე. ესეც გავითვალისწინეთ. დღეს ეზო დილიდანვე უჩვეულოდ გამოცოცხლდება. ის, რასაც აქ წლობით ელიან მობინადრეები... არა, არ გვინდა ავჩქარდეთ. ექსპერიმენტის შესახებ, რომელსაც დღეს ამ ეზოში ჩვენი რედაქცია ატარებს, „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

28 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

ნიჭიერი, ნებისყოფიანი გოგონა



ქვეყნის ნაკრებამდე გზა ცამეტი წლის ბატუტუ მხტოშელაშ რუსუდან ხოფერიამ სულ რაღაც ოთხ წელიწადში გაიარა და საერთო აღიარებაც სწრაფად მოიპოვა.

—თუ გინდა კარგად შეაფასო რუსუდანის შესაძლებლობები, ახლოს უნდა იცნობდე მას, — ამბობს მისი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხუდოევი, — რუსიკომ არ იცის რა არის სიზარმაცე, შიში. მის სიმტკიცეს, ნებისყოფას ბევრი ცნობილი ოსტატი ინატრებდა.

რუსუდანი ირწმუნება, რომ ეს თვისებები მას მწვრთნელმა გამოუმუშავა ...იგი მაშინ ცხრა წლის იყო. ტანვარჯიშის დარბაზში, სადაც აკრობატებთან ერთად მისი უფროსი და ვარჯიშობდა, პასიური მაყურებლის როლი გოგონას არ მოეწონა. ყურადღებით აკვირდებოდა სხვების ვარჯიშს და ცდილობდა იგივე გაემეორებინა.

და აი, ერთ-ერთი ამგვარი „გამეორების“ დროს იგი მწვრთნელის გამოცდილმა თვალმა შენიშნა.

— მასთან მოლაპარაკება, ჩაწერილიყო სექციაში, არ გამჭირვებია, იხსენებს მწვრთნელი. გოგონა იშვიათი მუყაითობით გამოირჩეოდა. სანამ კარგად არ შეასრულებდა, დაუსრულებლად შეეძლო ემეორებინა თითოეული ელემენტი. რუსიკო დღემდე ყველაზე ადრე მოდის სპორტდარბაზში და ყველაზე გვიან მიდის.

სიბეჯითეს უკვალოდ არ ჩაუვლია. ათი წლისამ მან ურთულესი ნახტომები შეასრულა და საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, ერთი წლის შემდეგ კი პირველად მოიპოვა ჩემპიონის სახელი და რესპუბლიკის თასი...

რუსუდანის ნახტომებს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი, იგი აოცებდა სპეციალისტებს. ხოფერია პირველი ქალი იყო, ვინც ჩვენს ქვეყანაში სამმაგი სალტო შეასრულა შემობრუნებით. ბოლო წლებში გოგონა შესამჩნევად გაიზარდა, თავის შესაძლებლობებშიც დარწმუნდა. ახლა მას თვით სახელოვანი მეტოქეებიც კი უწევენ ანგარიშს. შარშან, როცა სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის IX სპარტაკიადაზე ხოფერიამ უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ გოგონას ხტომის გასაოცარი ტექნიკა აქვს.

— ძალიან მინდოდა გამემართლებინა მწვრთნელის, მეგობრების იმედები, ვფიქრობდი მხოლოდ გამარჯვებაზე, — გვითხრა რუსიკომ.

წარმატებამ მას ქვეყნის ნაკრებისაკენ გაუხსნა გზა. ქართველმა სპორტსაძენმა არც ამჯერად დაგვწყვიტა გული კოსნოდარელ ირინა სლონოვოისთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იუნიორთა შორის მეორე ადგილი დაიკავა.

გასულ წელს რუსუდანი კომკავშირელი გახდა. თანასკოლელებმა იგი რესპუბლიკის კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

მომდინარე სპორტული სეზონი რუსიკო ხოფერიასთვის წარმატებით დაიწყო. სსრ კავშირის თასის გათამაშებაზე, მოგილიოვში, მან თავის განუყრელ მეწყვილესთან ირინა სლონოვოისთან ერთად შეჯიბრების მთავარი პრიზი მოიპოვა, ხოლო ინდივიდუალურ პროგრამაში მესამე ადგილი დაიკავა.

შალვა შალოლაშვილი.



ახალგაზრდობა — შრომა და სპორტი

ზაფხული შრომითი სემესტრის პერიოდია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. შრომის შემდეგ მათთვის აქტიური გართობისა და დასვენების ყველაზე კარგი საშუალებაა ფიზიკური კულტურა და სპორტი. ეს, ახე ვთქვათ, ყოველდღიური მოთხოვნილებაა, მაგრამ შრომით ბანაკებში, როგორც წესი, დიდი სპორტული ზეიმებიც იმართება — ეწყობა საბანაკო სპარტაკიადები.

სურათებზე, რომელიც ზუგდიდიდან მოგვაწოდეს, აღბეჭდილია ამავე ქალაქის № 2 საშუალო სკოლის შრომითი ბანაკის სპარტაკიადის ამსახველი მომენტები. სპარტაკიადის პროგრამაშია სპორტის მახობრივი სახეობები, შეჯიბრებაში ჩაება ექვსი გუნდი.

ბორის ტუტოვის ფოტოები.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„კარგამოჰქტილი სპორტდარბაზები“

ზუგდიდის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი გაცნობებთ, რომ „ლელოს“ 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში („კარგამოკეტილი სპორტდარბაზები“) მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, სპორტკომიტეტის სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა ქალაქში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი სპორტული მუშაობის მდგომარეობა. მკაცრი შეფასება მიეცა როგორც ცალკეულ ფიზკულტურულ მუშაკთა, ისე ხელმძღვანელთა საქმიანობას.

საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევისა და სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში ნაკლოვანებებისათვის სპორტკომიტეტთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს მ. დადიანს, მწვრთნელებს მ. ჯაფარიძესა და დ. ხომასურიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

ქალაქში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაზე კონტროლის შესუსტებისათვის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორ ჯ. ახალაიას გამოეცხადა საყვედური.

განათლების განყოფილების წინაშე დაისვა საკითხი რამდენად მიზანშეწონილი იქნება ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ჯ. კიკალეიშვილისა და მეთოდისტი. უტალიას ადგილზე დატოვება, აგრეთვე მწვრთნელების ჯ. მამფორიას, შ. ქაძანაიას, ა. ბუკიას პასუხისმგებლობის საკითხი.

განათლების განყოფილების და სპორტკომიტეტთან არსებული სპორტსკოლების, პროფკავშირულ-ნებაყოფლობითი ფიზკულტურული საზოგადოების საქალაქო საბჭოს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქალაქო საბჭოს დაევალათ გარდაქმნან მუშაობა, აღმოფხვრან ფორმალიზმი, განამტკიცონ საშემსრულებლო დისციპლინა, დაწესონ მკაცრი კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტი მომავალშიც სისტემატურად განიხილავს ქალაქში ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხებს.

ნ. ბარდავა,
ზუგდიდის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.



იმ დროისთვის (ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ) ასეთი მიღწევა საუცხოოდ ითვლებოდა. თბილისელმა მძლეოსანმა, სპორტის ოსტატმა ჰერტრუდა მაიერმა 9 მეტრსა და 76 სანტიმეტრზე ჰკრა ბირთვი და თავის ცხოვრებაში პირველი რეკორდი დაამყარა.

მას შემდეგ ჰერტრუდამ არა ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა სპორტულ სარბიელზე, მაგრამ მთავარ გამარჯვებად მაინც სამწვრთნელო მოღვაწეობა მიაჩნია. მან ბევრი რეკორდსმენი აღზარდა, მათ შორის ჯუმბერ ფხაკაძე, ბორის ზაიჩუკი, ეგონი ანდრიასი; გივი ბეროშვილი.

დღეს მაიერი ახალ ცვლას ამზადებს: ავარჯიშებს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის უროს მტყორცნელებს. როგორც ყოველთვის. ახალგაზრდული შემართებით მუშაობს — არაფერს იშურებს საყვარელი საქმისათვის.

სურათზე: ჰერტრუდა მაიერს 75 წელი შეუსრულდა. აღსაზრდელები მოსალოცად მოვიდნენ მასთან.

დღეს ტალინის სასროლეთზე...

თბილისი დასრულდა საქართველოსა და კვიპროსის მესტენდურეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მრგვალ სტენდზე სროლაში. ერთნაირი შედეგით (200 შესაძლებლიდან 191 დაზიანებული სამიზნე) გაიმარჯვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გიორგი შენგელიამ.

სატრანშეო სტენდზე საუკეთესო იყო შოთა თავაძე, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 193 სამიზნე დაზიანა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს გუნდური შეჯიბრების ორივე სახეობაში. შეხვედრა საწვრთნელ ხასიათს ატარებდა სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ, რომელიც დღეს ტალინში აიღებს სტარტს.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ბუშინ ლანჩხუთში შედგა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი, ადგილობრივმა „გურიამ“ მიიღო ვილნიუსის „ულგირისი“.

თამაში დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 2:0. ორივე ბურთი თამაშის მეორე ნახევარში გაიტანა ნარბეკოვასმა.

სსრ კავშირის თასზე

25 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ოცდამეთორმეტედფინალური შეხვედრები, ხოლო შემდგომი, მეთექვსმეტედფინალის ეტაპის მატჩები გაიმართება 5 და 6 ივლისს.

გათამაშების ამ ეტაპზეც და მერვედფინალშიც, მეტოქეები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს შინ და სტუმრად, გათამაშებაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის გუნდებიც.

თბილისის დინამოელები თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში მიიღებენ იაროსლავლის „შინიკს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ ასევე საკუთარ მინდორზე შეხვდება ვოლგოგრადის „როტორს“.

ამ ეტაპის სხვა წყვილები ასეთია: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა), „შახტიორი“ (დონეცკი) — „ნივა“ (ტერნოპოლი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა), ცსკა — „ტორპედო“ (ლუცკი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი), „არარატი“ (ერევანი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)— „ურალანი“ (ელისტა), „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კრასნაია პრესნია“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (სოხუმი), „დინამო“ (მოსკოვი) — „აქუზასი“ (კემეროვო), „ნეფტჩი“ (ბაქო) — „ფახთაქორი“ (ანდიჟანი), „ქაირათი“ (ალმა-ათა)— „ფახთაქორი“ (ტაშკენტი), „ულგირისი“ (ვილნიუსი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა).

პირველი მატჩები გაიმართება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე. ვილნიუსის „ულგირისი“ და ფერგანის „ნეფტიანიკი“ ერთმანეთს შეხვდებიან 2 და 6 აგვისტოს.

დამარცხება — სტუმრად

ბუქარესტი. 27 ივნისი (საკუთარი). ქ. ბრაშოვში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა (18 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1. გოლები გაიტანეს მოლდოვანმა, ფლორეანუმ, მინიამ, სტენიჩმა (პენალტიდან); პ. სეტნიკოვმა (სსრ კავშირი).

დამფუძნებელი ჯონ ბარნსი

„**უოტფორდისა**“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ჯონ ბარნსი მომავალ სეზონშიც ინგლისში ითამაშებს.

ბარნსს იმედი ჰქონდა, რომ იტალიის „რომაში“ გადავიდოდა, მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა და ახლა ინგლისის სახელოვანი კლუბები ცდილობენ მის გადაბირებას. სახელდობრ, „ლივერპულმა“ 900 000 გირვანქა სტერლინგი გაიღო მისთვის. ლივერპულელებს „არსენალმა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ მიბაძეს.

თავიქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ბარნსი „რომაში“ გადავიდოდა, როცა კლუბის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი კიდევ ერთი წლით აგრძელებს კონტრაქტს ბოლონელ ზბრიგნევ ბონეკთან. იტალიურმა კლუბმა უკვე შეიძინა გერმანელი რუდი ფიოლერი. ამიტომ ბარნსს, ინგლისიდან იტალიაში კლუბებს ორზე მეტი უცხოელი ფეხბურთელის მოწვევა არ შეუძლიათ, ამიტომ ჯონ ბარნსი ინგლისში დარჩება.

70

ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები ● წყალბურთი

პირველი მედლები

საქართველო (ნაკრები) — რსფსრ (განათლების სამინისტროს ნაკრები).

12:10 (1:1, 2:1, 2:1, 0:2). დამატებითი 3-3 წუთიანი პერიოდები — 1:0, 0:1. 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები — 6:4.

ისე მოხდა, რომ მატჩი მესამე ადგილისთვის ზუსტად იმავე სცენარით წარიმართა, როგორც წინა დღეს საქართველო—სამხრეთი ზონის შეხვედრა. საქინფორმის კორესპონდენტმა ისიც შენიშნა, რომ ახლაც პირველ, მეორე და მესამე პერიოდში ანგარიშიც კი წინა დღის განმეორდა. ერთი სიტყვით, ორივე გუნდმა უშედეგოთ ბრძოლა გადაიტანა, ჩვენმა ნაკრებმა კვლავ ვერ გამოიყენა სამბურთიანი უპირატესობა. მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ანგარიში იყო 5:2 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. რაღა რჩებოდა, ერთი 6-წუთიანი პერიოდი და თავდადებული ბრძოლა ანგარიშში თუნდაც მინიმალური უპირატესობის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ასეთ სპასუხისმგებლო მატჩში, წინა დღის შეხვედრისა არ იყოს, მოზარდებზე ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, რითაც ამ შემთხვევაში უფრო მეტად ჩვენი გუნდი დაზარალდა. მეტოქემ ზედიზედ გაქვითა სამი ბურთი — ერთი მესამე პერიოდის მიწურულს, ორიც მეოთხე პერიოდში) — 5:5. ასე დამთავრდა ძირითადი დრო. დამატებით 3-3-წუთიან პერიოდში მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — 6:6. ამის შემდეგ, დებულების შესაბამისად, რაღა თქმა უნდა, ჯერი მიდგა ოთხმეტრიან საჯარიმო დარტყმებზე. ჩვენმა ბიჭებმა აქ მეტი ნებისყოფა და სიზუსტე გამოავლინეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს 12:10. ამ მატჩშიც შესანიშნავად ითამაშა დავითიანმა (გაიტანა 6 ბურთი), აგრეთვე ბურდულმა და გონაძემ. როგორც გუშინ გაუწყეთ, საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.

რა შეიძლება ითქვას ჩვენს ნაკრებზე? თუ გავითვალისწინებთ ასაკს (ეს შეჯიბრება 16 წლამდე წყალბურთელებისათვის ჩატარდა) და იმას, რომ შეჯიბრებაში მოკავშირე რესპუბლიკების ზონების გაერთიანებული, აგრეთვე სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ქვეყნის ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ, არ შეიძლება საბოლოო ჯამში ჩვენი გუნდის თამაშით და შედეგით უკმაყოფილონი ვიყოთ. მწვრთნელებმა, გუნდის ხელმძღვანელებმა, თვით ჭაბუკებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ასეთი რანგის ასპარეზობაში და ასეთი სიძლიერის გუნდებთან შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილი, ვფიქრობთ, საპატიოა. რაც მთავარია, ნათლად დავინახეთ, რა რეზერვი გვაქვს. ხვალ ვისთან გვექნება საქმე.

საერთო ფიზიკურ მომზადებაში

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, წყალბურთში სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების დაწყების წინ ნორმა სპორტსმენებმა მსაჯთა კოლეგიას, როგორც ამას თამაშების დებულება ითვალისწინებს, გამოცდები ჩააბარეს... საერთო ფიზიკურ მომზადებაში. შედეგები მოგვიანებით შეჯამდა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა. **გუნდური:** 1. საბჭოთა არმია, 2. „დინამო“, 3. პროფკავშირები-2. **პირადი:** 1. ვიაჩესლავ კუკუშკინი, 2. ევგენი დმიტრიენკო (ორივე—პროფკავშირები-1), 3. დავით ბურდული (საქართველო).

სურათებზე: აი ისინიც, ვისაც სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მედლების პირველი კომპლექტები გადაეცათ (ზემოდან, ქვემოთ) — სამხრეთი ზონის (შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები, საქართველოს გარდა) ნაკრები — I ადგილი: პროფკავშირები-2 (სსრ კავშირის ნაკრები)—II ადგილი, საქართველოს ნაკრები გუნდი — III ადგილი.

საქართველოს ღია ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში

ვინ შეცვლის ლიდერებს?

საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატები ამ ბოლო დროს დიდ წარმატებებს აღწევენ, მაგრამ ეს მიღწევები ძირითადად რესპუბლიკის ნაკრების ერთი და იგივე შემადგენლობის ანგარიშზე მოდის. დღევანდელი ლიდერები ადრე თუ გვიან აქტიურ სპორტს გამოეთხოვებიან და მათი შემცვლელების ძებნა გახდება საჭირო.

როგორი ცვლა ეზრდება სინქრონული ცურვის ოსტატებს? პირველ ყოვლისა ამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში გამართულ საქართველოს ღია ჩემპიონატს სინქრონულ ცურვაში, რომელშიც თბილისელებთან ერთად ქუთაისის, სოხუმისა და ერევნის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ.

შეჯიბრებას მოსკოველი მსაჯები ემსახურებოდნენ. ასე რომ, ასპარეზობაზე სპეციალისტთა ნაკლებობა არ იგრძნობოდა. გამოცდილ მწვრთნელთა აზრით, საქართველოს ნაკრებს კარგი მომავალი ეზრდება. პერსპექტიულთა შორის ასახელებენ თბილისელ ეკა ასათიანს, ტატიანა გუტიაკულოვას, მაია მელაძეს; ქუთაისელ მანანა ჩარქსელიანს, ტატიანა მენაბდეს; სოხუმელ ტატიანა მელიქიშვილს და სხვებს.

ჩვენს მწვრთნელებს ამ შეჯიბრებაზე უფროსი ასაკის გოგონებთან თავიანთი ინდივიდუალური მუშაობის შედეგები უნდა შეეფასებინათ. უნდა ენახათ ახალ პროგრამას როგორ ითვისებენ გამოცდილი სპორტსმენები.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი გუნდი სწორ გზაზე დგას. თბილისელებმა ჯგუფურ გამოსვლაში გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გამოიყვანეს. ამ ჯგუფის გამოცდილ წევრებთან: იანა ალავიძესთან, ნინო გელაშვილთან, ნინო მაისურაძესთან და ლელა მამიაურთან ერთად მზარდი ოსტატობა გვიჩვენეს ტატიანა გუტიაკულოვამ და ნინო ლომაურმა, რომლებმაც პირველად გაიმარჯვეს რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

ასპარეზობაში „აბსოლუტური ჩემპიონის“ სახელი მოიპოვა მამიაურმა, რომელმაც ჯგუფურ ვარჯიშშიც გაიმარჯვა და ერთეულთა და წყვილთა გამოსვლაშიც (გელაშვილთან ერთად). ერევნელებმა კი, მხოლოდ ერთი საპრიზო ადგილის მოპოვება შეძლეს.

ავთანდილ ჯუვიფელი,
ავტორის ფოტო.



ჯგუფურ ვარჯიშში გამარჯვებული გუნდი.

ერთეულთა თანრიგი. ლ. მამიაური — 164,73, ი. ალავიძე (ორივე — თბილისი) — 153,81, ე. მარგველაშვილი (ქუთაისი) — 155,35; **წყვილთა თანრიგი.** ლ. მამიაური — ნ. გელაშვილი (თბილისი) — 165,20, ნ. მაისურაძე (თბილისი)— ე. მარგველაშვილი (ქუთაისი) — 159,78, მ. დარბინიანი — ე. ბაიბურთიანი (ერევანი) — 139,86; **ჯგუფური.** ი. ალავიძე, ნ. მაისურაძე, ტ. გუტიაკულოვა, ნ. გელაშვილი, ლ. მამიაური (ყველა—თბილისი). ნ. ლომაური (ქუთაისი) — 152,72, თ. კლდიაშვილი, ნ. ნემსიწვერიძე, ე. მარგველაშვილი, მ. ჩარქსელიანი (ქუთაისი) — 119,63 (შეჯიბრებაზე მესამე წყვილი არ გამოსულა).

„რაზდანის“ კომპლექსზე

ერევნის სპორტული კომპლექსის „რაზდანის“ ჩოგბურთის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური ტურნირი ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასების მფლობელი მოზარდთა კოლექტივები. ჩვენმა გოგონებმა ჯერ ანგარიშით 5:0 მოუგეს აზერბაიჯანელებს, შემდეგ 5:2 სძლიეს სომხეთის ნაკრებს, ქართველმა ჭაბუკებმა იოლად დაამარცხეს აზერბაიჯანელები (5:0), სომხეთის გუნდთან შეხვედრა კი დაძაბულ ბრძოლაში წააგეს — 3:4.

ამრიგად, ჩვენი გოგონები თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ. ფინალი 8 გუნდის მონაწილეობით სექტემბერში დონეცკში გაიმართება.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

სტუმრად ალავერდში

ალავერდში (სომხეთი) სტუმრად იყო ზესტაფონის სპორტული სკოლის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იქ გამართულ შეჯიბრებაში (გამოდიოდა 14 გუნდი). ფინალში ზესტაფონელები და ალავერდელები გავიდნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ზესტაფონელმა მალხაზ მდივანმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო.

პეტრე ნებიერიძე.

უიმბლდონზე კვლავ წვიმს

ასეთი რამ ჩოგბურთის სტაჟიან გულშემატკივრებსაც არ ახსოვთ. ამინდის ჭირვეულობას ამდენი ცვლილება არასოდეს შეუტანია უიმბლდონის ტურნირის მსვლელობაში. ტურნირის მეოთხე დღეს გაიმართა მხოლოდ ერთი შეხვედრა, რომელშიც ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამ სძლია იაპონელ ეძუკო ინოის — 6:1, 6:2 და ყველაზე პირველი გავიდა გათამაშების მესამე ეტაპზე. 42 სპორტსმენი კი კორტზე გასვლის რიგს ელოდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს პირველი ჩოგნის ივან ლენდლისა (ჩეხოსლოვაკია) და იტალიელი პაოლო კანეს (იგი მე-40 ეა მსოფლიო კლასიფიკაციაში) შეხვედრამ. ბოლონიელმა სპორტსმენმა, რომელმაც პირველად ითამაშა ბალახიან კორტზე, ლამაზად მოიგო პირველი ხელი — 6:3, მაგრამ შემდეგ სეტში, როცა ანგარიში გახდა 5:5, წვიმამ დააშორიშორა მეტოქეები. შეხვედრის განახლებისას გამარჯვება გამოცდილ ლენდლს დარჩა.

რაც შეეხება ქალთა მეორე ჩოგანს, 18 წლის შტეფი გრაფს (გფრ), რომელმაც ამას წინათ საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო და უიმბლდონის ტურნირის გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად მიაჩნიათ, მან პირველ წრეში ადვილად სძლია არგენტინელ ადრიანა ვალერის — 6:0, 6:2

ახლა დროის დასაზოგად ვაჟთა წყვილები ხუთი პარტიის ნაცვლად სამს გაითამაშებენ. ტურნირის მონაწილეებს კვირას უნდა დაესვენათ, მაგრამ თუ ამინდი გამოვა, ისინი საასპარეზოდ გამოვლენ.

სამმა საბჭოთა ჩოგბურთელმა მოიპოვა გამარჯვება. მინსკელმა ნატალია ზვეროევამ სძლია ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს ლორი მაკნეილს — 6:4, 6:4. კალინინგრადელმა ა. ვოლკოვმა გაიმარჯვა ბილ სკენლონთან (აშშ). ორივე გამარჯვებული ასპარეზობის მესამე ეტაპზე გავიდა.

მოსკოველი სვეტლანა პარხომენკო მხოლოდ ერთხელ გამოვიდა სარბიელზე — დაამარცხა ინგლისელი ჯეინ ვუდი (7:5, 6:3).

დამარცხებულმა დატოვა კორტი ლვოველმა ლარისა სავჩენკომ გფრ-ის წარმომადგენელ ს. ხანიკესთან შეხვედრაში — 3:6, 3:6, მეორე წრის მთავარი სენსაცია იყო ბორის ბეკერის (გფრ) წარუმატებლობა ავსტრალიელ პეტერ დუენთან.

ნიუკომბი — ბეკერის მწვრთნელი

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის, დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერის მწვრთნელად მიწვეულია პროფესიონალური ჩოგბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, უიმბლდონის ცხრაგზის გამარჯვებული ერთეულთა და წყვილთა შორის, სიდნეის მკვიდრი, 42 წლის ავსტრალიელი **ჯონ ნიუკომბი**. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მას ჩამოართვეს.

● ხართ თუ არა მზად უხელმძღვანელოთ ბეკერს?

— რასაკვირველია, მსურს დავეხმარო. ბეკერის მწვრთნელი, მისი აღმომჩენი და პირველი მწვრთნელი გიუნტერ ბოში იყო.

● საჭიროებს თუ არა პროფესიონალი ჩოგბურთელი, კერძოდ, ბეკერი ე. წ. „დამხმარე პერსონალს“?

— „დამხმარე პერსონალი“ პროფესიონალისთვის აუცილებელი არ არის, მაგრამ საჭიროა ისეთი ვინმე, ვისაც იგი ენდობა. კონსულტაციები და მწვრთნელთა ურთიერთობა ხელს უწყობს სპორტსმენის აღმასვლას.

● ბეკერის მენეჯერს იონ ცირიაკს მიაჩნია, რომ ეს ჩოგბურთელი მწვრთნელს საჭიროებს. მართალია თავად ბეკერს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სიტყვა, მაგრამ ამბობენ, რომ თვითონაც ასე ფიქრობს.

— ბეკერი ადამიანია და არა მანქანა. მისთვის მთავარია პიროვნული თავისუფლება...

● ბეკერსა და ცირიაკს გადაწყვეტილი აქვთ მწვრთნელი მხოლოდ დიდი ტურნირებისათვის მიიწვიონ. აქვს თუ არა აზრი ამგვარ ე. წ. „დროებით სამუშაოს?“

— ეს უაზრობად მიმაჩნია.

● ცირიაკის აზრით, ბეკერს ისეთი მწვრთნელი უნდა ედგეს გვერდში, რომელსაც თავად აქვს გამოვლილი უიმბლდონის, მელბურნის, „ფლეშინგ მედოუს“ ტურნირების ჭარ-ცეცხლი. რომელი დიდი ჩოგბურთელი გახდა შემდგომში დიდი მწვრთნელი?

— რას ნიშნავს „დიდი მწვრთნელი?“. თვით საუკეთესო ეოკეიც კი ვერ მიაღწევს წარმატებას კარგი ცხენის გარეშე. ლეგენდარული ავსტრალიელი სპეციალისტი ჰარი ჰოპმენი არ იყო ჩემთვის უდიდესი მწვრთნელი, როდესაც საქმე დარტყმის ტექნიკას ეხებოდა, მაგრამ მის უნარში ერთი რამ იყო შეუდარებელი — გადამწყვეტი მატჩისათვის მისი შეგირდი მუდამ საუკეთესო ფორმაში იყო.

● ბეკერს ახლა სისწრაფისა და გამძლეობის გაუმჯობესებაში ავარჯიშებენ. თქვენ რაში დაეხმარებით მას?

— კორტზე მეტი მოძრაობის უნარის გამომუშავებაში, ზემოდან დარტყმებისა და ზურგისაკენ ხელის მოძრაობის სრულყოფაში.

● გიუნტერ ბოში ამბობდა, ბეკერი შეიძლება „გადაწვასო“...

— არ ვიცი, რას გულისხმობდა ამ სიტყვაში ბოში. უძლიერეს სპორტსმენებს მართლაც ემუქრებათ გონებრივი „გადაწვის“ საშიშროება, მაგრამ ბეკერი გამონაკლისია. მისი ბუნებრივი ნიჭი და ხასიათის სიმტკიცე ერთ განზომილებაშია მოქცეული...

პუბლიკაცია მოამზადა
მალხაზ რადიანმა.

ევროპის თასი მძლეოსნობაში

ევროპის ფინალები

გუშინ პრაღაში დაიწყო მძლეოსანთა მეტად საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება, რომელსაც ევროპის თასის გათამაშება ეწოდება. ეს შეჯიბრება საინტერესოა თუნდაც იმით, რომ აქ მძლეოსნობის ყველა სახეობაში გათამაშდება უშუალოდ ფინალები, წინასწარი ეტაპების გარეშე, ეს კი დიდად გაამწვავებს ბრძოლას.

ევროპის თასის წინა გათამაშებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა, წლევანდელი შეჯიბრების პროგრამაში შედის მძლეოსნობის 36 სახეობა, მათგან 16 — ქალთა და 20 ვაჟთა პროგრამით. ქალთა შორის იასპარეზებენ სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები, ხოლო ვაჟთა შორის გამოვლენ სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთისა და პოლონეთის გუნდები. ყოველ სახეობაში გუნდიდან გამოდის თითო მონაწილე, პირველი ადგილის მოპოვებისთვის კოლექტივს 8 ქულა ეწერება, მეორისთვის — 7, მესამისთვის — 6 და ა. შ., მაგრამ თუ რომელიმე მონაწილე არ გამოვიდა სტარტზე, მოიხსნება დისტანციიდან, დისკვალიფიკაციას მიიღებს, ან საწყის სიმაღლეს ვერ აიღებს, მის გუნდს ქულა არ ეწერება. ესტაფეტებში ჩასაბმელი ქულების რაოდენობა ორმაგდება.

ევროპის თასი მძლეოსანთა შორის მეტად საინტერესო შეჯიბრებაა, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების უმთავრესი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნები, მაგრამ ცალკეულ სახეობებში მოსალოდნელია მეტად დაძაბული ბრძოლა, სტარტზე გამოვლენ კონტინენტის საუკეთესო მძლეოსნები.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„სპორტპროგნოზი“: 27-ე ტირაჟი (5-6 ივლისი)

სსრ კავშირის 1987-1988 წ.წ. თასი ფეხბურთში 1/16 ფინალი

1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა)	5.VII	60	20	20
2. ცსკა — „ტორპედო“ (ლუცკი)	5.VII	70	20	10
3. „დინამო (თბილისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	6.VII	60	20	20
4. „არარატი“ (ერევანი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი)	6.VII	40	30	30
5. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ურალანი“ (ელისტა)	6.VII	80	10	10
6. „გურია“ (ლანჩხუთი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	6.VII	40	30	30
7. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „კრასნაია პრესნია“ (მოსკოვი)	6.VII	60	10	30
8. „ნეფტჩი“ (ბაქო) — „ფახთაქორი“ (ანდიჟანი)	6.VII	60	20	20
9. „უალგირისი“ (ვილნიუსი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა)	6.VII	50	40	10
10. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	6.VII	30	40	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)				
11. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავიატორი“ (კიევი)	6.VII	50	10	40
სსრ კავშირის ჩემპიონატი გალახის ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
მამაკაცები				
12. ასკ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ალმა-ათა)	6.VII	20	20	60
13. „ინშაატჩი“ (სუმგაითი) — „ზვეზდა“ (ანდიჟანი)	6.VII	20	20	60

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 28 ივნისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს“ ტირაჟი— **10.15 (1)**; ჯანმრთელი რომ იყო — **18.45 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატში ცხენოსნობაში — **21.15 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40 (1)**; მძლეოსნობა: ევროპის თასი — **0.40 (2)**.

საქართველოს ტელევიზია. 28 ივნისი. საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40.**

29 ივნისი. საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05**; სპორტული გადაცემა; „მექსიკა-86“ — **22.40.**

საქართველოს რადიო. 28 ივნისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

29 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: პირველი ლიგა — **22.00.**

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო შეგახსენებთ, რომ ლატარია „სპორტპროგნოზის“ მოგების რეგისტრირება აუცილებელია ტირაჟის ოფიციალური შედეგების გამოცხადებიდან 4-5 დღის განმავლობაში, კვირა დღის ჩათვლით.

მოგების შემთხვევაში თავად მოთამაშემ, ან მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა, ბილეთის „ა“ ნაწილი უნდა წარადგინოს სარეგისტრაციოდ და მოგებათა ოფიციალურ ცხრილში ჩასართველად.

ბილეთის „ა“ ნაწილის მეორე მხარეზე რეგისტრატორის ნომრიანი შტამპის ანაბეჭდის დასმის შემდეგ იგი უბრუნდება მფლობელს, როგორც მოგების მისაღები საბუთი. მოგება 500 მანეთამდე მიიღება შემნახველ სალაროში, 500 მანეთზე მეტი — სამმართველოში გაფორმებული სპეცდავალებით.

თუ განცხადება მოგების შესახებ არ გაკეთდება დადგენილ ვადებში, „ა“ ნაწილის მფლობელი მოგების მიღების უფლებას კარგავს და მისგან არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

მოთამაშეთა ყურადღება გვინდა მივაქციოთ — 1. ბილეთის სამივე ნაწილი უნდა შეივსოს ყოველგვარი შესწორების გარეშე; 2. ბილეთის „ა“ ნაწილზე აუცილებლად უნდა იყოს გამავრცელებლის მიერ ბილეთის მიღებისას დასმული ნომრიანი შტამპის ანაბეჭდი.

თუ არ გინდათ დაკარგოთ მოგება, იყავით ყურადღებიანი და აკურატული.

გთავაზობთ იმ პუნქტების მისამართებსა და სამუშაო საათებს, სადაც გაიყიდება ბლანკები, მოხდება ბილეთების მიღება და მოგების რეგისტრაცია: სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის ცენტრი („საქსპორტლოტო“, ელიავას ქ. № 26), ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის პროსპექტისა და საგურამოს ქუჩის კუთხე №№ 12, 13, 14, 15, 16 სალაროები), სპორტის სასახლისა და ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლსნო-სპორტული კომპლექსის სალაროები, აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ № 6 მაღაზია „სხივი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 44).

სამუშაო საათები 10-დან 17 საათამდე შაბათისა და კვირის ჩათვლით. ტირაჟში მონაწილე ბილეთები მიიღება (ბოლო ვადა) ყოველ ოთხშაბათს 17 საათამდე, „სპორტლოტოს“ სამმართველოსთან არსებულ ცენტრში, ოთხშაბათს 18 საათამდე.

მოგებული ბილეთების რეგისტრაციის ბოლო ვადაა კვირის 17 საათამდე.

„სოიუზპეჩატის“ № 6 მაღაზია „სხივი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპ. 44) ბილეთების მიღებასა და მოგებათა რეგისტრაციას აწარმოებს ზემოთ ნახსენებ დღეებში კვირის გარდა.

გარდა ამისა, ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბლანკების შეძენა და შევსებული ვარიანტების ჩაბარება შეიძლება აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ შემდეგ მაღაზიებში: №3 „საუნჯე“ (ა. წერეთლის პროსპ. № 113), № 4 „ნაპერწკალი“ (ა. პერეთლის პროსპ. № 7), № 7 „ცისკარი“ (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, მიწისქვეშა გასასვლელი „გამარჯვების“ პარკთან), № 13 „შატილი“ (ნუცუბიძის I პლატო, 12-ა კორპუსი). მოგებული ბილეთების რეგისტრაცია აქ არ იწარმოებს.

ცნობებისთვის მოგვმართეთ ტელეფონებით 34-20-00, 34-38-00, 34-51-72.

საქსპორტლოტო.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(წერეთლის გამზირი № 2)

1 ივლისი ● ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 28 ივნისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 29 და 30 ივნისს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

● ● ●

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 30 ივნისს.
დასაწყისი 19 ს. 30 წ.
უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება იმავე დროს „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07915